ხელშეკრულება N 01-032801
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 28 მარტი 2019 წ.

ერთის მხრივ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ეკატერინე გალდავას სახით და მეორეს მხრივ, შპს „გლობალ ვიჟენ კავკასუსი“ წარმოდგენილი მისი დირექტორის ნინო ცისკარაძეს (შემდგომში „მიმწოდებელი“) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს იგივე მნიშვნელობა, რაც სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონსა და მის საფუძველზე გამოცემულ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელ სხვა კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში.

2. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ საჭიროებისთვის , საიმიჯო რგოლის განახლება (საუნდდიზაინი, გახმოვანება, პოსტპროდაქშენი), (CPV92140000 - ვიდეოფილმების ჩვენებასთან დაკავშირებული მომსახურებები).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. მომსახურების გაწევის ფასი განისაზღვრება ლარებში.
3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 750 (შვიდას ორმოცდაათი) ლარს.
3.3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიწოდების ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების წესი

4.1. "მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.
4.2. დაფინანსების წყარო: შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ 2019 წლის საკუთარი სახსრები.
4.3. ანგარიშსწორება განხორციელდება მომსახურების სრულად გაწევის შემდეგ, მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.
4.4. წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია გაწეული მომსახურების ხარისხის, მიწოდების ვადების და სხვა კრიტერიუმების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან;
5.2. ხელშეკრულების 5.1 პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს (ინსპექტირებას) შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს - კომუნიკაციის სამსახურის უფროსი.
5.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა და კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა ხარვეზის აღმოფხვრა.

6. მომსახურების გაწევის ვადები და პირობები

6.1 მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს, ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში;

7. მხარეთა უფლება–მოვალეობები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) მომსახურების გაწევის დროს განახორციელოს ხარისხისა და სხვა პირობების წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის ინსპექტირება;

ბ) მოთხოვოს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესრულება

7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მომსახურება გაწიოს ამ სფეროში საერთაშორისოდ აღიარებული ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისად,

ბ) სრულად უზრუნველყოს მისი ქმედების/უმოქმედობის შედეგად შემსყიდველის ქონებაზე მიყენებული ზიანის ანაზრაურება;

გ) აუნაზღაუროს შემსყიდველს მისი ბრალეულობით გამოწვეული ნებისმიერი სახის მატერიალური და არამატერიალური ზარალი.

8. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

8.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებით.

8.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერას განახორციელებს კომუნიკაციის სამსახურის უფროსი, ხოლო მისი არ ყოფნის შემთხვევაში სხვა უფლებამოსილი წარმომადგენელი.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეებს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

9.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელი დაჯარიმდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3 (სამი) პროცენტის ოდენობით.

9.3. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს სახელშეკრულებო ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, "შემსყიდველი" იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.4. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.5. ამ მუხლით გათვალისწინებული საჯარიმო დ პირგასამტეხლოს თანხები დაუკავდება მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულებიდან, იმ შემთხვევაში თუ მომსახურება არაა გაწეული მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნიდან 5 სამუშაო დღეში გადაიხადოს შესაბამისი თანხა შემსყიდველის სასარგებლოდ, ხოლო იმ შემთხვევაში თუ გაწეული მომსახურების ღირებულება ნაკლებია საჯარიმო თანხაზე მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნიდან 5 სამუშაო დღეში გადაიხადოს შესმსყიდველის სასარგებლოდ საჯარიმო თანხებსა და გაწეულ მომსახურების ღირებულებას შორის არსებული სხვაობა შემსყიდველის სასარგებლოდ.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველი" უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.3. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, 3 დღის ვადაში უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

11.4. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორს-მაჟორული მდგომარეობის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით.

12.2. მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 10 მაისის ჩათვლით.

14. დამატებითი პირობები

14.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია"	შპს ,,გლობალ ვიჟენ კავკასუს"
მის: ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველა N76ბ	იურ/მის: ქ. თბილისის, გლდანი-ნაძალადევის რაიონი,
სს „ლიბერთი ბანკი"	დასახლება სან-ზონა, კორპუსი N5, ბ. N29
ცენტრალური ფილიალი	სს ,,საქართველოს ბანკი"
კოდი: 220101480, LBRTGE22	კოდი: BAGAGE22
ა/ა N GE77LB0113123325230012	ა/ა GE19BG0000000566214300
ს/კ 412670097	ს/კ 400151241
	ტელ: 591 705 552
ეკატერინე გალდავა დირექტორი	ნინო ცისკარაძე დირექტორი

LLC united water supply company of georgia
Digitally signed by LLC united water supply company of georgia
Date: 2019.03.29 12:27:16 +04'00'

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

საიმიჯო რგოლის განახლების მომსახურების შესყიდვა

მიმწოდებელი: შპს ,,გლობალ ვიჟენ კავკასუს"

2019 წლის 28 მარტი N 01-032801 ხელშეკრულება

ქ. თბილისი

28 მარტი 2019 წელი

მე ქვემოთ ხელის მომწერი ვადასტურებ, რომ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" მიერ, საიმიჯო რგოლის განახლების შესყიდვის განხორციელებაში ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონს მე–8 მუხლის მოთხოვნებს და არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის"

დირექტორი

ეკატერინე გალდავა